ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4727934

ნომერი: AR1713024

თარიღი : 16.10.2019

გაცემის თარიღი : 28.10.2019

გაცნობის თარიღი : 28.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჯოხაძე პ/ნ 18001022138
- ფანასკერტელ-ციციშვილის 6, ბ 195

ორგანიზაცია:
- შპს "ბეტა ჯგუფი" კოდი: 405171996

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 16 ოქტომბერს №AR1713024 განცხადებით მომართა გიორგი ჯოხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი),უზნაძის ქ. N14-ში, შ.პ.ს. „ბეტა ჯგუფი“- ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.16.05.001.023), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 25 აპრილიდან 2021 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 1211.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1124.33 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 946.1 კვ.მ-ის ნაცვლად 933.35 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1024.1 კვ.მ-ის ნაცვლად 783.26 კვ.მ. სასაწყობე ფართობი 150.68 კვ.მ-ის ნაცვლად 172.14 კვ.მ. დამხმარე ფართობი 656.51 კვ.მ-ის ნაცვლად 736.38 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 1188.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1072.19 კვ.მ. სასტუმროს ნომრების ფართობი 2777.11 კვ.მ-ის ნაცვლად 2796.73 კვ.მ, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 3652.6 კვ.მ-ის ნაცვლად 3649.26 კვ.მ, შესაბამისად, საერთო ფართობი 11607.3 კვ.მ-ის ნაცვლად - 11267.64 კვ.მ.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხ. რეგისტრაცია – №882019748251, მომზადების თარიღი: 12/09/2019 16:02:49) მიხედვით, №01.16.05.001.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბეტა ფროფერთიზ“ (405332135). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19048173, მომზადების თარიღი: 25/04/2019 15:55:47), შპს „ბეტა ფროფერთიზ“-ის (405332135)დირექტორს წარმოადგენს გიორგი ჯოხაძე (პ/ნ: 18001022138).

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვნებლებში დაფიქსირდეს: კომერციული ფართობი: 1124.33 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 933.35 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 783.26 კვ.მ. სასაწყობე ფართობი: 172.14 კვ.მ. დამხმარე ფართობი: 736.38 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: 1072.19 კვ.მ. სასტუმროს ნომრების ფართობი: 2796.73 კვ.მ, საცხოვრებელი ტიპის სასტუმროს აპარტამენტის ფართობი: 3649.26 კვ.მ, საერთო ფართობი: 11267.64 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებით შეთანმხებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 აპრილის №4475623 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge